ორშაბათი 1919 წ. მაისის 26 № 107
ყოველდღიური გაზეთი

ორშაბათი 1919 წ. მაისის 26 № 107
ფასი 2 მან.

# საქართველო.

რედაქცია
საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის გვარი და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.
რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

კონტორა
„საქართველოზე“ წლის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ღირება—120 მ. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 40 მანეთი. ცალკე № 2 მან. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა ერთის გვერდზე 2 მ. უკანასკნელზე—1 მ. 50 კ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 50 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს 5 მან. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს 1½ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 10 საათიდან 3 საათამდე.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეგ. ადრესი: თბილისი, „საქართველო“

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15—73

# საქართველოს დამოუკიდებლობის დღესასწაული

საქართველოს  დამოუკიდებლობა

საქართველოს დამფუძნებელი კრება,—არჩეული პირდაპირი, თანასწორი, საყოველთაო, ფარული და პროპორციონალური საარჩევნო სისტემით ორივე სქესის მოქალაქეთა მიერ,—თავის პირველსავე სხდომაზე, 1919 წ. მარტის 12-ს, ქვეყნისა და ისტორიის წინაშე აღიარებს, რომ ის სავსებით იღებს და ადასტურებს საქართველოს ეროვნულ საბჭოს მიერ 1918 წ. მაისის 26-ს, ნაშუადღევის 5 ს. და 10 წ. თბილისში გამოცხადებულს საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ აქტს:

## საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი

„მრავალ საუკუნეთა განმავლობაში საქართველო არსებობდა, როგორც დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფო.

„მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს ყოველ მხრით მტრისაგან შევიწროებული საქართველო თავის ნებით შეუერთდა რუსეთს იმ პირობით, რომ რუსეთი ვალდებული იყო საქართველო გარეშე მტრისგან დაეცვა.

„რუსეთის დიდი რევოლიუციის მსვლელობამ რუსეთში ისეთი შინაგანი წყობილება შექმნა, რომ მთელი საომარი ფრონტი სრულიად დაიშალა და რუსის ჯარმაც დასტოვა ამიერკავკასია.

„დარჩენ რა თავისი ძალღონის ამარად, საქართველომ და მასთან ერთად ამიერკავკასიამ თვით იდვეს თავს საკუთარი საქმეების გაძღოლა და პატრონობა და შესაფერი ორგანოებიც შექმნეს; მაგრამ გარეშე ძალთა ზეგავლენით ამიერკავკასიის ერთა შემაერთებელი კავშირი დაირღვა და მით ამიერკავკასიის პოლიტიკური მთლიანობაც დაიშალა.

„ქართველი ერის დღევანდელი მდგომარეობა აუცილებლად მოითხოვს, რომ საქართველომ საკუთარი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია შექმნას, მისი საშუალებით გარეშე ძალის მიერ დაპყრობისაგან თავი გადაირჩინოს და დამოუკიდებელ განვითარების მტკიცე საფუძველი ააგოს.

„ამისდა თანახმად საქართველოს ეროვნული საბჭო, 1918 წლის ნოემბრის 22-ს არჩეული საქართველოს ეროვნულ ყრილობის მიერ, დღეს აცხადებს:

1) ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებიანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა.

2) დამოუკიდებელ საქართველოს პოლიტიკური ფორმა—დემოკრატიული რესპუბლიკაა.

3) საერთაშორისო ომიანობაში საქართველო მუდმივი ნეიტრალური სახელმწიფოა.

4) საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას სურს საერთაშორისო ურთიერთობის ყველა წევრთან კეთილმეზობლური განწყობილება დაამყაროს, განსაკუთრებით კი მოსაზღვრე სახელმწიფოებთან და ერებთან.

5) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანასწორად უზრუნველჰყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალურ მდგომარეობისა და სქესისა

6) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა განვითარების თავისუფალ ასპარეზს გაუხსნის მის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ერს.

7) დამფუძნებელ კრების შეკრებამდე მთელი საქართველოს მართვა-გამგეობის საქმეს უძღვება ეროვნული საბჭო, რომელიც შევსებული იქნება ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებით, და დროებითი მთავრობა პასუხისმგებელია საბჭოს წინაშე.



დამოუკიდებელ საქართველოს პირველი მთავრობა

## საქართველოს სახელმწიფოს ნიშნები

### დროშა საქართველოს რესპუბლიკისა

(კანონი მიღებული 1918 წელს, სექტემბრის 10-ს).

1 საქართველოს რესპუბლიკას აქვს თავისი დროშა სამფეროვანი: წითელის (შვინდის ფერის), შავის და თეთრის ფერისა.

2. დროშას შეადგენს: თეთრი ბუნი თავში ბირთვით და შუბის წვერით, ალამი წითელი (შვინდის ელფერისა), შავი და თეთრი თანასწორი ზოლებით ზემო კუთხეში ბუნთან; შავი და თეთრი ზოლები შეადგენს ალამის განის ნახევარს და სიგრძის ორ მეხუთედს.

1918 წ სექტემბრის 16.

დედანს ხელს აწერენ:

საქართველოს ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარე **ნ. ჩხეიძე.**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

### ღერბი საქართველოს რესპუბლიკისა.

(კანონი მიღებული 1919 წ. სექტემბრის 20-ს).

1. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას აქვს სახელმწიფოებრივი ღერბი.

2. ღერბად არის თეთრი გიორგი შვიდი მნათობით.

1918 წ. სექტემბრის 20.

**დედანს ხელს აწერენ:**

საქართველოს ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარე **ნ. ჩხეიძე.**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

### ღერბის აწერილობა.

(კანონი მიღებული 1918 წ. დეკემბრის 27-ს).

1. შვინდის ფერ ადგილიანს რგვალ ფარზედ თეთრი გიორგი ოქროს ჩლიქებიან თეთრ ცხენზედ. მარჯვენა ხელში შესატევად მომარჯვებული ოქროს შუბი ვერცხლის ლახვრიანი.

ცისფერი ჯავშანი, რომელსაც აქვს ვერცხლის უჯრედები; ჯავშნის ქვეშ მიხაკის ფერი ტყავის პერანგი; სახელო და ბოლო მოსასხამისა თეთრი.

მარცხენა მხარეზედ თეთრი ფარი სახიანი, შალვარი ალისფერი, ოქროს წაღები;

უნაგირის ქვეშ ვეფხის ტყავის ყაჯარი; უნაგირი ოქროსი და უზანგი ვერცხლისა;

ღერბის თავში რვა-კუთხიანი ვერცხლის ვარსკვლავი; მის მარჯვნივ ვერცხლის მთვარე, მარცხნივ ოქროს მზე; მთვარის და მზის აქეთ იქით ორ-ორი რვა კუთხიანი ვერცხლის ვარსკვლავი.

ცხენის ქვევით შავით მთის მწვერვალი. ფარის გარშემო შავი არშია, თეთრ-წინწკლებიანი, ოქროს ზოლებში ჩასმული.

2. ეს კანონი შედის ძალაში დღიდან მიღებისა.

1918 წ. დეკემბრის 27.

**დედანს ხელს აწერენ:**

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე **ნ. ჩხეიძე,** საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანი.**

### სამხედრო დროშა

**(კანონი მიღებული 1918 წ. დეკემბრის 27-ს)**

1. საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო დროშა შესდგება კვადრატული ფორმის თეთრი ალმისაგან, რომლის შუაგულში მოთავსებულია საქართველოს ღერბი გვირგვინში; ალამს შემოვლებული აქვს შვინდის ფერი არშია, გარშემორტყმული ვერცხლის ზოლით; ალამს აქვს სამი შვინდისფერი კუწუბი, ვერცხლის ზოლ-შემოვლებული. დროშის ფერი შვინდის ფერია, მოოქროვილ ლახვრიანი, რომელზედაც ცალმეტად ჩამოშვებულია ორი ოქროს ფოჩი.

2. ეს კანონი ძალაში შედის დღიდან მიღებისა.

1918 წ. დეკემბრის 27.

დედანს ხელს აწერენ:

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე **ნ. ჩხეიძე**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

### შტანდარტი საქართველოს რესპუბლიკისა

**(კანონი მიღებული 1918 წ. დეკემბრის 27-ს).**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის შტანდარტი შესდგება კვადრატიული ფორმის თეთრი ალმისაგან, რომლის შუაგულში მოთავსებულია საქართველოს რესპუბლიკის ღერბი. შტანდარტს შემოვლებული აქვს შვინდისფერი არშია შავი კუწუბებით შიგნითა მხრიდგან.

არშიას გარს არტყია ოქრომკერდით მოქარგული ქართული სირმა.

ანძა არის სამფეროვანი: ვიწრო ზოლები—შავი და თეთრი, მომსხო ზოლები - შვინდის ფერისა.

2. ეს კანონი ძალაში შედის დღეიდან მისი მიღებისა.

1918 წ. დეკემბრის 27.

დედანს ხელს აწერენ: საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე **ნ. ჩხეიძე,** საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

## დღე სასწაული

სამშობლოს იდეამ გაიმარჯვა და ზეიმობს.

ამ გამარჯვების სადიდებლად მთელი საქართველო განგებისად მოიკაზმა.

ესე მოკაზმული, ქართველი ერი დღეს გარედ გამოეფინება, რომ მზის სიცხოვლის ნეტარებაში ილოცოს და ილიტანიოს სამშობლოს ხატის წინაშე.

პირქვე დამხობილი, იგი ხატი ცად ავიდა და მის გუმბათიდან ყველასთვის ერთნაირად მზეურობს და ღმერთობს.

ხალხი მის გარემო შემოკრბა და თვალნი შეუდგა. სინიდისი ანკარა აქვს და გული უხადო. მოვალეობას პირშავად არ დარჩენია თორმეტი თვის მანძილზე სისხლი ბევრი დაპლვარა, მსხვერპლი მრავალი გაიღო, რომ იგი ხატი მიუკარები და ხელშეუხები შთენილიყო.

სწორედ როგორც ძველად, ეხლაც ისე მოიქცა; განიმეორა წლის სიგრძეზე მთელი თავისი ისტორია ათასის, ორი ათასის და მეტის წლისა.

# 26 მაისი 1918 წ. — საქართველოს დამოუკიდებლობის ერთი წლის თავი — 26 მაისი 1919 წ.

ეროვნულ ტანჯვაში, ეროვნულ მსხვერპლსა და მარხვაში გაწმიდანებული ქართველობა დღეს უკლებლივ მოკრებილია, რომ ცად აუშვას გულხმიანი ღაღადისი სამშობლოს სადიდებლად!

უკლებლივ! ვინაიდან ქართველთა თესლის აბა რომელი გარეწარი გაბედავს იყოს იუდა და საქართველოზე გული ავით აივსოს; რომელი ცოდვილი იზვიადებს, თავის ქართულ ჩამომავლობას ლაქა დააღვენთოს და მოდგმათა შეჩვენებას მიეცეს!

დღეს საყოველთაო ეროვნული ლოცვის დღეა; სამშობლოს წინაშე ფიცის დადების ღვთისმსახურებაა.

მაღალი საიდუმლოა; მთელი ერის გაზენაების დღესასწაულია.

ხპ. კედია.

## ეროვნული დღეობა

26 მაისი სამუდამოდ დარჩება ეროვნულ დღესასწაულად. ეს ისეთი თარიღია, რომლის საიდუმლო და სიცოცხლისმყოფელი ელვარება არ შეწყდება არასოდეს. შეიძლება იმას შევადაროთ ისეთი ისტორიული მომენტები როგორიც იყო ქრისტიანობის გამოცხადება სახელმწიფოს რჯულად, თბილისის დაარსება მეფე გორგასლანის—მიერ, არაბების განდევნა საქართველოდან მეფე დავით აღმაშენებლის დროს და ზოგი სხვა, რომლით სავსეა ჩვენი წარსული ისტორია. ირაკლი მეფის რუსეთთან ხელშეკრულებაც არ არის მოკლებული თავისებურ იდეიურ ძალას, მაგრამ 26 მაისი მაინც შეუდარებლად უფრო ძვირია, უფრო მდიდარი შინაარსით და უფრო ძლიერი თავის მომავალი ზედგავლენით საქართველოს ცხოვრებაზე.

უფრო სამართლიანი იქნება შევადაროთ იგი საფრანგეთის ეროვნულ დღესასწაულს.

— 14 ივლისს. საფრანგეთის დიდი რევოლიუცია, რომელიც დღესასწაულია თითქმის მთელი კაცობრიობისა, სასახელო და სასიქადულო მომენტია საფრანგეთის ისტორიისა. ის დღე, როდესაც აიღეს და დაამტრიეს ბასტილიის ციხე, გამოცხადებულ იქმნა ეროვნულ დღეობად.

შარშან, 26 მაისს, ჩვენც დავანგრიეთ თავისებური ბასტილია და გამოვაცხადეთ თავისუფლება საქართველოსი. ბასტილია იყო ის სასოწარკვეთილება, რომელიც შექმნა და გაამეფა ჩვენში რუსეთის მფლობელობამ. გამეფდა უხეში ძალა, წაიშალა ეროვნული ცხოვრება, მოისპო ყველაფერი, სადაც კი შეიძლებოდა ეჩინა თავი ჩვენს შემოქმედებას და ერის სულიერ განცდაში გამეფდა სასოწარკვეთილების სიბნელე. ამ სიბნელეში მხოლოდ ხანდახან გაისმოდა პოეტების მგლოვიარე ქნარი.

„არ-რა არის უიმედო,
„მეგობრებო, ალავერდი!

მაგრამ ყველა ჰგრძნობდა, რომ საქართველოს მდგომარეობა იყო უიმედო და ნაძალადევ მხიარულებას მოსდევდა მალული ცრემლი. ამ სულიერ სილაჩრეს დაემატა ერთგვარი გონებრივი გათახსირებაც: ეს იყო ცნობილი იდეალოგია სამშობლოს უარყოფისა. თურმე იდეა სამშობლოსი—შეცდომა ყოფილა კაცობრიობისა და მიზეზი ყოველგვარ სოციალურ და პოლიტიკურ უბედურებისა. თუ ამ დამღუპველ იდეას ამოვფხრიდით ჩვენი გული და გონებიდან ძირიან ფესვიანად და შევუერთდებოდით „ყველა ქვეყნის პროლეტარებს", ჩვენი საქმე გამოჩარხული იქნებოდა. აი ეს იდეოლოგია წარმოადგენდა მართლა საშინელ ბასტილიას, აქ იყო მომწყვდეული ეროვნული აღდგენის იმედიც და აქ იყო საჭირო მიტანა პირველი იერიშისა. ჩვენ ეს ბასტილია დავანგრიეთ შარშან 26 მაისს!

რასაკვირველია ისტორია ხელს გვიწყობდა. ბოლშევიკურმა რუსეთმა გამოსტაცა ხელიდან ჩვენს უბადრუკ „მამულის შვილებს" ლოზუნგი პროლეტარიატის დიქტატურისა და გადაუსროლა იგი მოზღვავებულ უმეცრებას. აღელვდა უმეცრება და წალეკა ყველაფერი—ცოდნა, სამართალი, კულტურა და ხელოვნება. ჩვენი დამფრთხალი მოღვაწეები გამოექცნენ სწრაფად და შეაფარეს თავი მათგან უარყოფილ სამშობლოს კალთებს. გამოფხიზლების პროცესსი ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული. მაგრამ იბრწყინა ოსმალეთის ხმალმა და მალე ალმოაჩინა დოკტრინალურ ბურუსში დაკარგული საქართველო. გამოცხადდა აქტი 26 მაისისა. დაიწყო ახალი ხანა ეროვნული ცხოვრებისა.

მართალია, მარტო ქაღალდს არა აქვს დიდი მნიშვნელობა. ქაღალდზე ჩამოყალიბება ეროვნული ცხოვრების პრინციპისა კიდევ არ მოასწავებს ამ ცხოვრების რეალურ განმტკიცებას. ეროვნულ ცხოვრების გამოჭედვას უნდა დიდი დრო, დიდი ბრძოლა და მუშაობა. საფრანგეთი ეროვნულად გამოიჭედა ინგლისთან ასი—წლის ომში; გერმანიას მოუნდა სამოცდაათი წელი შრომისა და ბრძოლისა, რომ წარეშალა ნაპოლეონის გამარჯვების შედეგები და განემტკიცებინა თავისი ეროვნული და სახელმწიფოებრივი ორგანიზმი; იაპონია, იტალია და ბევრი სხვა ქვეყნები სავსეა ამისთანა მაგალითებით. ჩვენცა ვქონდა ისტორია დიდი და სახელოვანი, ჩვენი სახელმწიფოც იჭედებოდა ოფლით და სისხლით, მაგრამ რუსეთის მუხანათობამ და უხეშმა ძალამ შეწყვიტა ჩვენი ეროვნული ცხოვრება. იგი იწყება ხელახლად. ჩვენმა ხალხმაც ეს იგრძნო ინსტიქტიურად და დავადექით თუ არა ეროვნულ განახლების გზას, დაიწყო აღორძინების პროცესსიც, ჯერ სუსტად, შემდეგ თანდათან ტემპის მომატებით. ბათუმში უმთავრესი ნაწილი ჩვენი ჯარისა უკან გამორბოდა. მაგრამ ბორჩალოში გმირულად გავჩიხეთ გამოურკვეველი სომხეთთან ურთიერთობასა, მესხეთში—დავიჭირეთ არტაანი, სოჭში—ჩვენი გვარდიელის ხმალი აჭანდაკებს საქართველოს საზღვარს... სულ ერთი წელიწადია, რაც გამოვაცხადეთ თავისუფლება და არ არის საქართველოს საზღვარი რომ იქ უკვე ქართველის სისხლი არ დაქცეულიყოს.

სახელმწიფოს შექმნა არ ამოიწურება მარტო საზღვრების გამოკვეთით უნდა გამოიკვეთოს კიდევ შინაური ცხოვრება, წესი და რიგი. აქაც დიდი მუშაობაა. აქაც უნდა დრო. ერთბაშად არაფერი ჰკეთდება. ჩვენს წესწყობილებას ისეთი საფუძველი აქვს ჩაყრილი, რომ იგი მალე გამოიღებს თავის ნაყოფს. მალე განმტკიცდება სამოქალაქო თავისუფლება და მალე დავადგებით ეკონომურ ძალების განვითარებას. სამწუხაროდ, არ ვსთქვა, რომ ამ სფეროში ყველაფერი კარგად მიდიოდეს, ბევრი შეცდომები ჩავიდინეთ და ბევრი სიმწარეს ვნახამთ კიდევ. უნდა იმედი ვიქონიოთ, ჩვენი ერის ძალები აქაც ინსტიქტიურად მაინც გაიგნებენ ნამდვილ გზას და დროზე მოიშორებენ თავიდან ცხოვრებით უარყოფილ დოქტრინალურ ფანტაზიებს

ეს ფანტაზიები უარყოფილია იმავე 26 მაისის აქტით. აქ აღიარებულია როგორც პოლიტიკური ფორმა საქართველოსი, დემოკრატიული რესპუბლიკა. იქ პირდაპირ ნათქვამია, რომ სუვერენობის მატარებელია ხალხი. ამიერიდან ამ პრინციპებიდან გადახვევ-გადმოხვევა შეუძლებელია. არა პროლეტარიატი, არა ბურჟუაზია ან სხვა რაიმე ნაწილი ხალხისა, არამედ ხალხი, მთელი ერი, არის ბატონპატრონი ქვეყნისა. ეს ისეთი ქვაკუთხედია, რომ, თუ კარგად გავიგეთ და სინდისიერად გავატარეთ თვით პრინციპი, მაზე ადვილი იქნება დიდებული სახელმწიფოს აშენება.

ეს გახლავთ იდეიური შინაარსი 26 მაისისა.

ამისთვის ჰღირს სიცოცხლე .. ჰღირს სიკვდილიც!..

გიორგი გვაზავა.

## თავისუფლების წლის თავზე

„რადგანაც ომისა და ზავის საკითხში გამოაშკარავდა ძირითადი განსხვავება იმ ხალხთა შორის, რომელთაც შექმნეს ამიერ-კავკასიის დამოუკიდებელი რესპუბლიკა, და ამიტომ შეუძლებელი გახდა გამოსვლა ერთი ავტორიტეტული ხელმწიფებისა ამიერ-კავკასიის სახელით, სეიმი ადასტურებს ამიერ-კავკასიის დაშლის ფაქტს და აცხადებს თავის თავს დათხოვნილად", —ამ რეზოლიუციით დაასრულა თავისი ხანმოკლე დღენი ამიერ-კავკასიის საერთო პარლამენტმა და იმავე დღეს საქართველომ, ხოლო ორი დღის დაგვიანებით აზერბაიჯანმა და სომხეთმა გამოაცხადეს პოლიტიკური დამოუკიდებლობა...

მოხდა ის, რაც უნდა უცილობლად მომხდარიყო, რისკენაც მიჰყავდა ამიერ-კავკასიის ხალხი ულმობელ ისტორიულ კანონს, სრულიად ობიექტიურ პირობებს.

26 მაისს 1918 წელს სასახლის თეთრ დარბაზში ნაშუადღევს ოთხს საათზე ისტორიას ჩაჰბარდა უთავბოლოდ შეხანხლული ამიერ-კავკასიის „სახელმწიფოებრივი" კონგლომერატი და ერთი საათისა და ათი წუთის შემდგომ ეროვნულმა საბჭომ გამოაცხადა საქართველოს პოლიტიკური თვითარსებობის გაგრძობა. პირველი მუხლი აქტისა ამბობს: „ამიერიდგან ქართველი ერი არის მატარებელი სუვერენულ უფლებათა და საქართველო სრულუფლებიანი დამოუკიდებელი სახელმწიფო".

დღეს საქართველოს ხალხნი დღესასწაულობენ დამოუკიდებელ ცხოვრების ერთი წლის თავს!

ერთი წელიწადი! ეს ხომ არარაობაა კაცობრიობის ისტორიის ხანგრძლივ პროცესში! ეს არის სწრაფად განვლილი ეპიზოდი იმ დიდსა და რთულ წყებაში, რასაც ჰქვიან ერის ისტორიული ცხოვრება! მაგრამ ჩვენის სამშობლოს დამოუკიდებლობის ეს პირველი წელი ავსავსე იყო ისეთი მნიშვნელოვან და წარუხოცელ შინაარსით, რომ ჭეშმარიტად უდრის მთელს ეპოქას.

მხოლოდ აღნუსხვა, უბრალო ჩამოთვლა იმ უდიდეს საშინაო და საგარეო მოვლენათა, რომელთაც ადგილი ჰქონდათ საქართველოს სახელმწიფო არსებობაში ამ ერთი წლის განმავლობაში, ფოლიანტებს მოითხოვს და ჩაკვირვებულ ისტორიულ შრომას...

დამოუკიდებლობა საქართველომ აღიარა მაშინ, როდესაც მთელი მსოფლიო ცეცხლის კოცონში იყო გახვეული და ზარბაზნის შემაძრწუნებელი გრიალი კიდით კიდემდე გაისმოდა!

თვით ჩვენი ქვეყანა დასერილ-დანაწილებული იყო და საქართველოს ისტორიული მტრის—ოსმალთა ბრბოები—თავისუფლად ნავარდობდნენ განთავისუფლებულ ქვეყნის მთა და ბარში... მას შემდგომ დღევანდლამდე საქართველოს ხმალი ქარქაშში არ ჩაგებულა და ქართველ მებრძოლთა უტეხი რაზმები სამშობლოს საზღვრებს არ დასცილებიან.

საქართველოს წინააღმდეგ ამხედრდნენ ირგვლივ ყველანი! მტერი ოთხივ კუთხით ექვეთა ჩვენს სახელმწიფოს...

ჩვენ იმ თავითვე ოპტიმისტები ვიყავით: მომაკვდავ სეიმის უკანასკნელ სხდომაზე ქართველმა დეპუტატმა გულუბრყვილოდ განაცხადა, რომ ქართველ ხალხს მტრები არ ეგულება და ქართველ ხალხის მიმართ სხვა ერთა შორის არავითარი შუღლი არ არსებობს... რატომ არა გვყავს მტრები? იკითხებოდა გაოცებული დეპუტატი და ვერ გაეთვალისწინებინა, რომ საქართველო იმ დღიდან განუწყვეტელ ომებში იქნებოდა ყველა მათთან, ვინც ერთგულებასა და მეგობრობაში გვეფიცებოდა დღემ-მუდამ.

ამ ერთი წლის განმავლობაში მსოფლიო ომის გადატეხაც განიცადა პატარა ქვეყანამ და ევროპის დღევანდელ ძლევამოსილ სახელმწიფოთა ყურადღების საგნად შეიქმნა. ჩვენი საზღვრები მიატოვა იმ სახელმწიფოს ჯარებმა, რომლის მეოხებით საქართველოს ასცდა ბრაზმორეულ ოსმალეთის მრისხანება და რომელმაც სინდისიერად ითავა საქართველოს დახმარება გაჭირვების ჟამს... შემდგომ მოვიდნენ სხვები, სხვა აზრითა და გარდაწყვეტილებით და მათ აქ ყოფნის დროსაც საქართველო ხელმწიფებდა სუვერენულად... წლის თავზე კიდევ სხვებს ველით და ვიმედოვნებთ: თვითმყოფობის განმტკიცებაში მათი ხელი არ აღიმართება აზიის ალაყაფში მდგომ კულტუროსან ერის წინააღმდეგ!

ისტორიულ უფლების დაბრუნების წლის თავს ვდღესასწაულობთ! განვლილმა წელმა ცხად ჰყო ქართველი ერის სახელმწიფოებრივი ტრადიციული უნარი და მომზადება... ეს უმეტესად გვამხნევებს და ამიტომაც ბრწყინვალე შარავანდედით გვესახება მომავალი სამშობლოისა!

გასაკეთებელი ჯერ ბევრია და უპირველესად ყოვლისა ერის სამკვდრებელის შემოკრებაში...

გვრწამს, რომ მეორე წლის თავზე დაბრკოლებათა რუბიკონი გადილახება სავსებით და გამთელებული სახელმწიფოს ყოველი კუთხე ზეიმით მიეგებება ბრწყინვალე დღეს...

ამიერ-კავკასიის ნანგრევზე საქართველოს მტკიცე საფუძველი ჩაიყარა და მთელი ერის შეერთებული ძალღონე მის გასასალკლდევებლად მიმართულია.

„ძირითადი განსხვავებანი" ძლეულია და ხალხის ენერგიაც ერთს საგანს ემსახურება...

რ. ინგილო.

## „ოთხთა დიდთა" ნატვრა

„სული ახალის ქართლისა"—ნ. ბარათაშვილი, მისი ჭკუა და გონიერება—ილ. ჭავჭავაძე, ახალი დროის „ერისთავი"—აკაკი და „მთის არწივი" ვაჟა-ფშაველა გულდამწვარნი დასტიროდნენ „მძინარ" და „ჩაბალახ მოხდილ" საქართველოს ბედს და სასტიკად ამხელდნენ „ლაზღანდარა" და „რუსეთუმე" მის შვილებს. ეს იმისთვის, რომ მათ გულში ენთო მწველი, მაგრამ თან საამო, ცეცხლი სამშობლოს სიყვარულისა. „დღისის სიცხადით გულდაჩაგრულთ", მათ ასულდგმულებდა ჩაუმქრალი ნატვრა-სურვილი სამშობლოს „გაღვიძებისა" აღდგომისა. მათ სწამდათ, რომ ნაზი „სუმბული"—საქართველო, ყინვა-სუსხისაგან დაზრულ-დაფერფლილი, კვლავ გამოცოცხლდებოდა, განახლდებოდა და ილხენდა; რომ „ოქროს აკვანი"—ივერიის ეს თავისუფლების ემბლემა—მუხანათ მტრებისაგან მაცდურად მოტაცებული და „ბაზალეთის ტბის ძირას" ჩამალულ-ჩამარხული, კვლავ იხილავდა სინათლეს, კვლავ გამომზეურდებოდა და ტკბილად გულში ჩაიკრავდა თავის პირმშო შვილს—ნორჩ თავისუფლებას; რომ „ბახტრიონის" მიუვალი ციხე კოშკი—ეს შავბნელი, მიუკარებელი და მრისხანე სამარე საქართველოს თავისუფლებისა—დაინგრევ-დაილეწებოდა ქართველ გმირ ქალ-ვაჟთა ერთსულოვან შეტევით; რომ პირ-ქუში და სალი „კლდე", ბედისაგან დაყუდებული თავისუფლების მოყვარულ ამაყ „მდინარის"—ვაჟას სამშობლოს—შესავიწროებლად, მისი სავალი გზა-კვალის ასარევათ,—დაიმსხვრეოდა სანატრელ „გაზაფხულის" წყალდიდობის—ხალხთა მღელვარების დროს.

ასეთი ღრმა და გაუნელებელ რწმენა იმედით გატაცებულნი, ისინი ხან „აღმართ-აღმართ მიდიოდნენ ნელნელა"—ჰქმნიდნენ საუცხოვო ნაწარმოებთ მოძმეთა გულის დასაამებლად და გასათვითცნობიერებლად; ხან კი, სანატრელ მომავლის დაჩქარების სურვილით ანთებულნი „დაფს და ნაღარას" უკრავდნენ და მოურიდებლად, ხმამაღლა „გმირებს" დაეძებდნენ, რომ მათ ტყვეობიდგან დაეხსნათ „ნესტან დარეჯანი" — საქართველო. ერთის სიტყვით, „ბედი ქართლისა" შეადგენდა უმთავრეს საგანს მათის აზროვნებისა, გრძნობისა, განცდისა და შემოქმედებისა; დატყვევებულ საქართველოს ბორკილების მტვრევის ხმის გაგონება კი მათი ნატვრა-ოცნების მომხიბლავი სიმფონიას. სამწუხაროდ, მათ სიცოცხლეში ეს ნატვრა ვერ აუსრულდათ; მათმა თვალებმა ვერ იხილეს „მზე დიდებული". პირიქით, ცხოვრების სინამდვილე ბევრს საბუთებს იძლეოდა, რომ მათ, გ ორბელიანთან ერთად, იჭვით შეპყრობილთ, ამოეკვნესათ: „ვაჰ, თუ რაც წახდა, ველარა აღსდგეს, ველარ აჰყავდეს ახლის მშვენებით"-ო. სამარეში თან ჩაიტანეს ჩვენმა „საბა ბერებმა" სამშობლოს მდგომარეობით გამოწვეული ტანჯვა მწუხარება.

მხოლოდ 1918 წლის 26 მაისმა გაჰფანტა. ნიავს მისცა ეს სულის მომწამვლელი იჭვიანობა სამშობლოს სიყვარულით ავადმყოფ მამულისშვილთა და აშკარად, საქვეყნოდ დაამტკიცა, რომ საქართველო არ მომკვდარა მხოლოდ „ეძინა".

აკაკის „დაფი და ნაღარით" გაღვიძებული „გმირი" ქართველი ერი დაირაზმა, გმირულად ეძგერა „ბახტრიონს", ჩალეწა მისი კედლები, ტყვეობიდან განათავისუფლა „ნესტან დარეჯანი" და „ბაზალეთის ტბიდან" ამოღებულ ოქროს აკვანში ჩააწვინა ქართველი ერი, მშობლიურის სიყვარულით გატაცებული, დღეს ტკბილ „ნანას" უმღერის თავის ძვირფას პირმშოს, ოცნებობს მისი გაზრდა-გახარებაზე და მოუთმენლად მოელის მისს დავაჟკაცებას. საშინელი ქვესკნელის ძალამაც რომ მოუნდომოს პირმშოს წართმევა, იგი არ შედრკება, თავს შეაკლავს მომხდურს, საყვარელ არსებას კი ცოცხალი ვერავის დაანებებს!

დიახ, 26 მაისს აღსრულდა „ოთხთა დიდთა" ნატვრა! ამ დღეს დაიმსხვრა საბოლოოდ ბორკილი მონობისა; მიჯაჭვული ამირანი ამიერიდგან თავისუფალია; გაუმაძღარნი ყვავ-ყორანნი მიიმალ-მოიმალნენ; „ბედი ქართლის" მისი შვილების ხელშია; გამართლდა ბრძენ სოლომონ მსაჯულის აზრი; ირაკლის ორიენტაცია ისტორიამ უარჰყო; ქართველმა ხალხმა საკუთარ ორიენტაციას მოჰკიდა ხელი და მით დაგმო მონურ ფსიქოლოგიის ნაშობი სხვისი ლაქიობა, ხელში აიღო ეროვნული დროშა, შეუდგა ეროვნულს შემოქმედებას, გულში აღინთო სამშობლოს წმინდა სიყვარული და სწორის გზით მიდის თითონ საუკეთესო მომავლისაკენ!

26 მაისი, უმთავრესად, ქართული მწერლობის დღესასწაულია. იდეა განთავისუფლებულ, გაერთიანებულ და „ფენიქსებრ განახლებულ" საქართველოსი პირველ-ყოვლისა მის ფურცლებზე აღიბეჭდა. მისთვის ეწამა ფილადელფოს კიკნაძე; მისთვის ჩააგდეს „ავლაბრის საპყრობილეში გ. ორბელიანი ამხანაგებით, მისთვის გაუჭეჭყეს პატიოსანი შუბლი ჩვენი ახალი ისტორიის „დიმიტრი თავდადებულს"; მისთვის იტანჯებოდნენ სულიერად საზოგადო მოღვაწენი. ქართველ მწერალთა სისხლით და ნაღველით შემორგულ „სევდის ბაღში" აღმოცენდა ხე სანატრელ თავისუფლებისა. მომავალშიც ქართველ მწერალთა შემოქმედებამ უნდა გაუპოხიეროს მას ნიადაგი; მწერლობამ უნდა მიაწოდოს მას მაცოცხლებელი ნექტარი: თავისუფლების დარაჯ-დამცველთ, ერისაგან არჩეულთ, მან უნდა გაუნათლოს გული და სული, მტკიცედ შთაუნერგოს შეგნება მოვალეობისა, პატიოსანის მოქალაქისა და მამულისშვილობისა; მან უნდა ამხილოს, დაჰგმოს, დასწყევლოს ყველა ორგული და მავნე ერის შვილი.

ამნაირად, მომავალშიაც უფრო დიდი იქნება როლი ქართულის მწერლობისა, თუ კი ბუნებრივად და ნორმალურად მოეწყო ყველა დარგი ჩვენის ცხოვრებისა.

დღეს ზეიმობს აღორძინებული და თავისუფალი საქართველო. ამ ზეიმს უერთდება, ხარობს და ტკბება, მართალია, პოლიტიკურ ორომტრიალში მივიწყებული და ამით ცოტა არ იყოს გულნატკენი, მისი მწერლობაც.

დღეს საფლავებშიც შეინძრევიან დიდებულნი მიცვალებულნი!

იპ. ვართაგავა.

## ორბის სიჭაბუკე

„განახლდეს ვითარცა ორბისა სიჭაბუკე".

—

„ძენი მათნი, ვითარცა ახალნერგნი განმტკიცებულ არიან, საუნჯენი მათნი სავსე არიან და გადაეცემიან ურთიერთას; ცხოვარნი მათნი მრავლის მშობელ არიან, გამრავლებულ გამოსავალსა და ზროხანი მათნი ზრქელ არიან".

მეფსალმუნე დავით

დილაბინდზე გახურებული მხედრები ბუკის ტკრციალით ასძრავენ სამეუფეო სატახტო ქალაქს იმ საქართველოში რომელსაც ორბისა სიჭაბუკე განუახლდა.

მეხის ფაფარზე გაგიჟებული ხმაური დაილეწება შეკრებად ქართველი ერისა და მხიარულ ცეცხლში გაივლება სამუდამო საქართველო რომელიც უდიერ ღმერთმა შოლტქვეშ გააწვინა! რამდენი ხანია მისი მძაფრი კივილი არა ჰსმენია მეწამულ საქართველოს! რამდენის დიდი მკერდი დააშრო მისმა მრისხანე გუგუნის მოლოდინმა! და ხომ შორს არ არი ის დრო როდესაც საქართველოში საქართველოს ეძებდნენ? და რამდენი იყო სევდა იმ უმუზარადო გოლიათებისა რომელთაც ატირებდათ შემკრებლობითი, ერთიანი ძალის გაწყალება და „სამშობლო ძუძის" დაშრობა!

როგორ ანელებდა იგი ცხელებას გაცოფებულ მესსიანისტებისას რომელთაც მოსაგონებლად ჰქონიათ ლეგენდა ჯავრიანი:

„მარადის ომში დიდმა მოურავმა რო საქართველოსთვის დატრიალებუ ხმალი მიწაში ჩაასო და შუაზე გადაამტვრია!

გადამსხვრეული ხმალი ატარებდა საქართველოს ბედისწერას ავხორცს და ავზნიანს; მაგრამ ალბად თქვენც გაგონდებათ საქართველოთი დანაცრებული მესსიანისტი—მოხელე პლატონ იოსელიანი რომელმაც საქართველოს ოქრო უწოდა „ნათლად და წმინდათ საჩვენებელი".

მგონია დღეს უნდა წარვსთქვათ ექტენიად:

„ქართველთა, ესრედ მრავალ საუკუნოებითა გამოცდილთა და ცეცხლში, ვითარცა პური, გამომცხვართა, ვერ ერეოდა ვერცა შინაგანი, ვერცა გარეგანი მწუხარება; გაღელვებული თავის უფლებითა და განლაღებული მთებითა, ეცინოდა ბედსაც და უბედობასაც.

ქართველთა გამოსწოვეს ტვინი სპარსთა, შეჭამეს იმპერია რომისა, ვითარცა იტყვის პლინიოს, შეჭამეს ბიზანტია და თვით დაშთნენ შეუჭმელად მათთვის, რომელნიცა ჰგონებდნენ მათსა შეჭმასა. მახესა, დაგებულსა მტერთაგან, თვით მტერნი გაებნენ; საფრთხე შეიმუსრა და ჩვენ განვერენით—იტყოდნენ და იტყვიან ქართველნი".

მაგრამ როდი კმარა რო საფრთხე შეიმუსრეს და განვერინეთ. განრინებულთა შესაკრებელი მტკიცე უნდა შეჰქმნან და აყვირონ ბუკი შედუღებად სარაცინის ლახტით დაკრულ ხერხემალისა!

სრულიად შემთხვევით არ მაგონდება ერთი ფურცელი საქართველოს მატიანედან:

„და წარავლინა თეიმურაზ, ომანიშვილი ქაიხოსრო (დაღესტანს) რამეთუ იყო იგი ახოვანი, შემმაერთებელი. ესე შევიდა დაღესტანსა შინა და ვითარცა ვერვინ წინაღუდგა ითხოვა ბუკი თეიმურაზისაგან, რამეთუ მოშიშარ იქმნებიან უფრ.ესად. არამედ კახთა შესმინეს ბატონს თეიმურაზს: „ჰნებავს კახეთი და ამისათვის ითხოვს ბუკსაცა". ამისთვის მოიყვანა ქაიხოსრო და მოჰკლა იგი ღალატად".

იქნებ ჩვენთვისაც საბედისწერო გახდეს ქაიხოსრო ომანიშვილის ბუკის ცემა?

მაგრამ ჩვენ ხომ არ გვინდა „სხვა ვყოთ მოშიშარ" ოღონდაც რო გავხდეთ მოშიშარი წინაშე ჩვენი მარტოობის თავადობისა. და „არ განვლაღდეთ თავის—უფლებითა".

წარსულის ჯავრმა დღეს უნდა დასწვას ოცნებანი და მესოპოტამიის დამდგარ სიცხეში ალბათ დღეს ინაცრება ორი საქართველოსმიერი; დიდი მოურავი და სოლომონ ლეონიძე—ცეცხლები ჰქვიდან ვნებაში გაქანებისა!

რადგან „განახლდა ორბისა სიჭაბუკე" „ეფუცა უფალი დავითს ჭეშმარიტებითა და არა შეურაცხჰყოს იგი: ნაყოფისაგან მუცლისა შენისა დავსვა საყდართა შენთასა".

დავიწუროთ რვალივით და ვეცნაუროთ ძველ აჩრდილებს—დიდების მთქმელ საშინელ სახელებს რომელთა სახეა მკაცრი ღვთიური და ღვთისვაშინელი!

მოვაგონდეთ ივერიის გერბი:—
ვერცხლის ჩქერში გაჭენებული რაში!
ისმინეთ ალის ნაკადით ზნეული ბუკი.
და შესვით საქართველოს ძველი სურნელი—ფასკუნჯის ფრთაზე მოტანილი!

გ. ლეონიძე.

## ჩვენი დღეობა

დღევანდელ დღეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ერთი წლის თავს დღესასწაულობს.

დღეს სამშობლოს მოყვარული ყველა ქართველი ხალხი ზეიმობს და მხიარულობს. მაგრამ ჩვენი პარტია, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია განსაკუთრებულის ზეიმით ეგებება დღევანდელ დღეს.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტია დღესასწაულობს თავის უდიდეს გამარჯვებას.

— საქართველოს აღდგენას.

ის ღრმა და სათუთი გრძნობა, რომელიც წარსულში ქართველ პატრიოტს ასაზრდოებდა—დღეს ხორცშესხმულია, გაცოცხლებულია.

მართალია ჯერ კიდევ არ ვართ გასული სამშვიდობოს. ჯერ კიდევ ხანგრძლივი ბრძოლა მოგვიწევს ძველ დახავსებულ დოგმატებთან და დრო მოჭმულ პრინციპებთან.

მაგრამ უმთავრესი ეტაპი ბრძოლისა ჩვენი გამარჯვებით დაგვირგვინდა.

ამისთვის დღევანდელი დღე ჩვენი პარტიის მოძღვართა და თანამგრძნობთა გულში უდიდეს აღფრთოვანებას ანთებს და ახალისებს იმ უწმინდეს გრძნობას, რომლითაც საზრდოობდა ჩვენი პარტია,

— სამშობლოს სიყვარულით.

მაგრამ საქართველოს ჯერ კიდევ ბევრი მტერი ჰყავს; ჯერ კიდევ არიან ურწმუნონი.

ამისათვის გვმართებს ფრთხილად ყოფნა, და მეტის ენერგიით და მხნეობით მოქმედება დამოუკიდებლობის განსამტკიცებლად, თავისუფლების დასაცავად.

26 მაისი საქართველოს დღესასწაულია და მასთან ერთად ჩვენი, ეროვნულ დემოკრატიულ პარტიის დღეობაც.

კ. სიორიძე.

## საქართველოს დღესასწაული და ქართველი ისრაელები

იშვიათ მოვლენას დღესასწაულობს ჩვენი საქართველო. მრავალი სიხარული და მრავალი მწუხარება გამოუცდია მას, მაგრამ არც ერთ ამათგანს ისეთი ღრმა დაღი არ დაურტყამს ჩვენი მომავლისათვის, როგორიც იქნება დაღი 26 მაისისა.

ყოველი ქართველი, განურჩევლად სარწმუნოებისა და ყოველი საქართველოს ღირსი მოქალაქე დღეს ორნაირ ზეიმს იხდის. ერთი არის მკვდრეთით აღდგენა საქართველოს სახელმწიფოებრივობისა და მეორე არის ამ სახელმწიფოებრივობის დემოკრატიული არსება.

ჩვენ ვიცით რომ საქართველოსა და ქართველ ერს ურიცხვ მტერთა ურდოები ეხვიენ და ახვევიან თავს.

1783 წლამდე შემუშავებული ტრადიცია უფრო ჩაკირა და გაალრმავა ამ ერთი წლის დამოუკიდებელმა მყოფელობამ.

26 მაისიდან იწყო საქართველოს ეროვნულ ძალთა დაგროვება და ამ ერთი წლის თავზე ჩვენ თამამად შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ქართველი ერის მთლიანობა მართლის და ჭეშმარიტის გზით მიმდინარეობს.

ერთი ქართული სული შექმნილია: მართლმადიდებელი, კათოლიკე, მუსულმანი და ისრაელი ქართველის არსება ერთ ეროვნულ სხეულშია ჩამოყალიბებული. ურთიერთისადმი მისწრაფება, გაგება იმდონად დიდია, რომ ვერავითარი გარეშე ძალა ვერ მოახერხებს ჩვენს დაშორებას.

ეს გვაძლევს მტკიცე რწმენას, რომ 1920 წლის მაისის 26-ს იდღესასწაულებს არა მარტო დღევანდელი, შეკოწიწებული საქართველო, არამედ მთელი საქართველოც—თავისი აჭარალაზისტანითურთ.

ასეთის რწმენით ვეგებებით ჩვენ დიდებულ მაისის 26-ს და როგორც ყოველი ჭეშმარიტი ქართველი გავიძახით: გაუმარჯოს საქართველოს და მის მთლიან ორგანიზმს!

გაუმარჯოს ქართულ ეროვნულ იდეასა და მის მატარებელ ქართველ ერს!

გაუმარჯოს საქართველოს განკურნვის დღეს—ძვირფას 26 მაისს!

ი. ხანანაშვილი.

## ზეიმის წესრიგი

დღეს დილის ათ საათზე სასახლის წინ გაიმართება საქართველოს ლაშქრის აღლუმი რის შემდეგაც ჯარი გავა ვაკეზე. თერთმეტის ნახევარზე დაიწყება საზეიმო ცერემონიალი. ქალაქი მორთული იქნება გირლიანდებით, სახლები ეროვნული ბაირაღებით. ყველგან დაუკრავს მუსიკა. „რევოლიუციის“ ავტომობილი მორთული იქნება ყვავილებით. შედგენილია მომღერალთა გუნდი. სხვა და სხვა პროვინციიდან ჩამოსულნი ხალხი ჩაცმულნი იქნებიან ეროვნულ ტანისამოსში. სიმბოლიური სურათი „გაზაფხული“ და მთელი შემადგენლობა საზოგადოების „შევარდენის“ გამართება ვაკეზე ყველა სასწავლებლის მოწაფენი თავიანთი მუსიკით გაივლიან ყველა დიდ ქუჩებს. ამქარი თავისი წარმომადგენლებით და ბაირაღებით გამოვა.

### ზეიმი ვაკეზე

დღეს 12 საათზე ვაკეზე გამართულ სტადიონზე საგანგებოდ შედგენილი გუნდი შეასრულებს 7 სიმღერას. შემდეგ გაიმართება „შევარდნების“ ვარჯიშობა შემდეგის წესით.

1) პატარა „შევარდნები“ წითელ ხალათებში გამოწყობილნი გააკეთებენ თავისუფალ ვარჯიშებს დროშებით

2) ფერად ტანისამოსში გამოწყობილი 200 შევარდენი ივარჯიშებს ჯერ თავისუფლად და შემდეგ სავარჯიშო იარაღებზე.

3) გაიმართება ქართველ „შევარდენ“—ქალების თავისუფალი და მაგიდაზე ვარჯიშობა, ამას მოჰყვება წურთვნელთა ვარჯიშობა ორქელზე და ღერძზე, შემდეგ ჭიდაობი, სუმფუქი ატლეტიური ვარჯიშობა და ბოლოს სანახაობა დასრულდება საერთო ჯგუფით რომელშიაც 300 „შევარდენი“, ქალი და ბავშვები მიიღებენ მონაწილეობას.

— დღეს, საღამოს გაიმართება საზ. „შევარდენის“ ფუტბოლის სექციის შეჯიბრება ინგლისელ ფუტბოლის მოთამაშეებთან.

— დღეს საღამოთი ყველა თეატრებში გაიმართება საზეიმო წარმოდგენები სახელმწიფო თეატრში დადგმული იქნება პირველი მოქმედება დ. არაყიშვილის ოპერისა „თქმულება შოთა რუსთაველზე“ და II და III მოქ. ზ. ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერი“. შესრულებული იქნება აგრეთვე ეროვნული და რევოლიუციური ჰიმნები და დადგმული იქნება კ. ფოცხვერაშვილის სიმფონიური პოემა „ამირანი“.

— დღეს ქართულ კლუბში საზეიმო საღამოა, მონაწილეობას იღებს სიმფონიური კონცერტი დ. არაყიშვილის ლოტბარობით მომღერლები—ვოლლევიცკისა, სპანიოლი ბახუტაშვილი — შულგინისა ბ-ნი სარაჯიშვილი, ინაშვილი, ფიშბერგი და სხვა. დასასრულ დივერტისმენტი გაიმართება, რომელშიაც მონაწილეობენ ი. გრიშაშვილი, ს ფაშალიშვილი, ნ. ერისთავი. წარმოდგენილი იქნება დ. ერისთავის ისტორიული დრამა „სამშობლოდან“ მესამე მოქმედება, შეთქმულება მეტეხის ციხეში. დარბაზში შესასვლელი ფასი ხუთი მანეთი.

— დღეს სახალხო სახლში წარმოდგენილი იქნება ახალი ორგინალური პიესა „რევოლიუციის რიჟრაჟზე“.

— დღეს მოხდება რამდენიმე ქუჩის გაეროვნება.

— დღეს თავისუფლების ხის დარგვა, რომლის პროექტიც ი. ნიკოლაძემ წარმოადგინა არ მოჰხდება, რადგან ამას ხელს უშლის ბუნების კანონები.

— დღეს საღამოს 7 საათზე სახელმწიფო თეატრის აივანიდგან გაძლიერებული ორკესტრი შეასრულებს ხალხისათვის რამდენიმე სიმღერას.

— დღეს საღამოს მთელი ქალაქი გაჩირაღდნებული იქნება. აუშვებენ შუშხუნებს და სხ.

## ზეიმი

დღეს დიდი დღეა... დღეს ზეიმია!.. ზეიმია მხოლოდ ქართველ ერისა!.. ზევით ვდგევარ და გადმოვყურებ საქართველოს დედა-ქალაქს, რომელიც მთვრალობს ამ ზეიმით...

მზე დღეს უფრო გრძნობით მზეობს. აბიბინებული გარემო მთები ლურჯკაბის შრიალით დაჰხვედრიან ამ ხალხის დღესასწაულს და სიამოვნებით ამღვრეული მტკვარი მიექანება უამბოს კასპს ჯერ მისგან უნახავი ზეიმი...

აგერ, ვხედავ ქართულად გამოწყობილ ქალ-ვაჟთ პირზე უსაზღვრო ღიმილით, ვხედავ მოჯირითე აბჯარ-ასხმულ ცხენოსანთ, ვხედავ ხალისიან დამკვრელთ და მოცეკვავე მუტრიბთ, მესმის მშობლიური ნაზი და მწყობრი გალობის ხმები და სულიც ჩემი უერთდება ამ საერთო ზეიმს.

* * *

საღამო დგება... საღამო მთელ საუკუნეთაგან მხოლოდ ამ დღისთვის დაბადებული და საუკუნოთაგანვე მოსატაცი სამუდამოდ. გაჩაღებულა ათას სინათლით დედა-ქალაქი საქართველოსი და მის ციმციმს თვით ვარსკვლავთ ცივი ციმციმიც ვერ შეედრება, რადგან მათში ჩაქსოვილა ქართველი ერის სიხარული, ქართული სული...

* * *

მეასე საუკუნეა... უზარმაზარ სახლში, რომლის სახურავიც ღრუბლებს ასცილებია, წიგნებით მორთულ კოხტა ოთახში ზის კაცი. ვინმე სწავლული.

წინ უძევს წიგნი და კითხულობს:

„... და წელსა მას 26 დღესა მაისისასა იყო ზეიმი დიდი ქალაქსა შინა, მშვენიერსა მას, თბილისად წოდებულსა...“

ჩერდება...

სცდილობს თვის გონებაში წარმოიდგინოს თუ სად მდებარეობდა თბილისში, რადგან ეხლა მთელი დედამიწა მხოლოდ ერთ ქალაქს წარმოადგენდა. ჰშლის მეორე წიგნს, პოულობს თბილისის სურათს და მაშინ თვის გონებაში იგი ჰხედავს ქართულად გამოწყობილ ქალ-ვაჟი, პირზე უსაზღვრო ღიმილით, ჰხედავს მოჯირითე პატარა ასხმულ ცხენოსანთ, ჰხედავს ხალისიან დამკვრელთ და მოცეკვავე მუტრიბთ, მაგრამ მას არ ესმის ნაზი და მწყობრი გალობის ხმები და სულიც მისი ვერ უერთდება ამ დღის ზეიმს...

არჩილ მაჭავარიანი.

## პატარა ფელეტონი

### მოსე წინასწარმეტყველი

(ლეგენდა)

იუდა—მეკვერთხე მოსესი—მეტად საყვარელი იყო წინასწარმეტყველისა. ებრაელთა წინამძღვარს არა უმიზეზოდ ეპყრა ხელთ თვისი საიმედო, ბრძენი მსახური: ბევრი ჭირისაგან უხსნია პირველი უკანასკნელს, ბევრი განსაცდელი აუშორებია იმისთვის. ასე რომ, არა იგი, მოსე მიზანს ვერ მიაღწევდა. უჩინარი იუდა იყო საიმედო, მაგრამ საიდუმლო ვეზირი მოსესი.

სამაგიეროდ, ის რომ მოსეს თვალში ჩავარდნოდა, ბეწვათაც არ მოიჩვენებდა.

მაგრამ იგი ლოგინად ჩავარდნილიყო... მოსე თავზე დასტრიალებდა საყვარელ მსახურს: ხან თავით დაუჯდებოდა, ხან ფეხით; მკურნალს არ აშორებდა და თვითონაც მსახურობდა.

— ჩემო იუდა, ჩემო სასურველო, მითხარი რა გტკივა? რომ საჭირო შეიქნეს, ჩემ ღვიძლს წამლად დაგინაყავ!.. ხომ იცი, უშენოთ მე კმაყოფილება არ მიწერია!—ევედრებოდა მოსე.

მაგრამ იგი გარინდული იწვა და თვალს ვერ უსწორებდა პატრონს.

მოსე მოთმინებას ჰკარგავდა და განმეორებით სთხოვდა, ეთქვა, რა სტკიოდა.

— ვკვდები! -მილეული ხმით სთქვა იუდამ და საყვედურის მეტყველი თვალები დააშტერა მოსეს.

— გევედრები, ჩემო იუდა, მითხარი რა გტკივა? ღმერთსა და კაცს შევაწუხებ, ცასა და ქვეყანას შევზარავ და დაგიხსნი სიკვდილისაგან, ოღონდ მითხარი, რა გტკივა, რომ შესაფერ საშუალებას მივმართო!

— ხსნა არ არის!..

— ნუ თუ შევძულდი ღმერთს და შენის დაკარგვით მიცხადებს მრისხანე განაჩენს!.. თუ ასეა, მითხარი ბარემ, რაშია საქმე?

— მსურდა, საფლავში თან ჩამეტანა საიდუმლო გულისა, მაგრამ, არ დაგტოვებ გულნატკენს, თუ გამჟღავნებამ უფრო არ გატკინა გული!

მოსე გაფითრდა, მთელი სხეულით აძაგძაგდა და ყურთასმენად გადაიქცა.

— გველი!—დაიწყო იუდამ და სახე დაემანჭა.—აი, ის გველი, რომელიც შენ ჯოხზე აღმართე საწამებლად ხალხისა...

— მერე?! —გაოცებით წამოიძახა მოსემ.—ის ხომ კარია აღთქმის ქვეყნისა! ის ხომ სიმბოლოა მესიის მოსვლის!

— ჰმ!

— გიყურებ და ვერ გცნობ, ჩემო იუდა, ხომ შენც მონაწილე ხარ ამ საქმის!...

— კი... და, თურმე, მით წაგვიბილწავს ჩვენი ხალხის სიწმიდე!..

მოსე დადუმდა, დიდ ხანს ვერა სთქვა-რა... ის დარწმუნებული იყო, რომ თუ იუდა ასე ამბობდა, საბუთიც ჰქონდა. წინასწარ მეტყველი გულუბრყვილოდ უყურებდა საქმეს და გველის წამებით დაბრმავებულ მის გონებას ვერ დაენახა, თუ რა მომწამვლელი ლექი იდგა იმ წყაროს თვალში საიდანაც იგი წყალს იღებდა ხალხის წყურვილის მოსაკლავად.

— მითხარი.. მითხარი, რას ხედავს შენი გონება!.. იქნება ღმერთი ამბობს შენის პირით!...

— გეტყვი... გეტყვი, რომ დაჩქარებით ბოლო მომელის!...

მოსეს გულმა ვერხვის ფოთოლსავით იწყო ფრიალი.

— დიახ, ჩემი დასტურიც იყო, აღვემართა გველი სპილენძის, რომ ის ეწარმოებინა ხალხს.. ამით, ჩვენ გვეგონა, მოვძებნეთ მთის ანკარა წყარო და შევუნდეთ ხალხს, ავავსეთ იგი აღმაფრთოვანებელ აღთქმებით, რომ წყაროს თუ გზას გავუხსნიდით და ჩვენკენ გამოვუშვებდით, უკვდავების წყალს ვიგემებდით... დიდის ვაებით ფარაონის კლანჭებისაგან დახსნილი ხალხი დაგვეთანხმდა... ეს დრო იყო, როცა საქმის მცოდნე ნაწილმა მრავალტანჯული ჩვენი ხალხისამ დაგვძახა:—„გველი მაცდურია მისი წამება უბედურობას შექმნის ხალხშიო!.. თქვენ მიერ აღმოჩენილი წყარო წმიდაა, მაგრამ ის გაუწმინდურდება გზა და გზა: თქვენდა უნებურად გზას გაიხსნის მისკენ ტალახიანი შენაკადები და ნაცვლად უკვდავების წყაროსა თქვენ მიაწოდებთ ხალხს ბინძურ სასმელს, დამანეულებელსაო!.. მაგრამ ჩვენ ჩვენი დავიჩემეთ: აღვმართეთ გველი... და ვინ იწამა იგი?—ერთის მხრით, შეუგნებლად იწამა ის უბრალო ხალხმა, რომელიც ვერ არჩევს მარჯვენას მარცხენასაგან... და ჩვენ გავიხარეთ, საიმედო იარაღი ვიგდეთ ხელთ... მაგრამ, როგორც დავრწმუნდი, ხვალ რომ დრო შეტრიალდეს, ეს დიდი უმრავლესობა თვით მტარვალი ფარაონისკენაც კი გაიშვერს ხელს!.. მეორის ნაწილმა ჩვენი გველი ფარისევლურად იწამა. ეს წამება ჩვენ ხალას ოქროდ მივიღეთ და ყველა ისინი ხალხში დავქსასეთ მოხელეებად... ამათ ხელოვნურად შექმნეს ტალახიანი შენაკადები, შეურთეს ისინი ჩვენს წყაროს და ისე აამღვრიეს, ისე მოშხამეს, რომ ხალხს იმის სმით მუცელი უსკდება... აი, რა ვქენით ჩვენ!.. მეტსაც ვიტყვით: უთავბოლო აღთქმებით შეპირებული საცოდავი ხალხი ავიყვანეთ მაღალ მწვერვალზე და იქიდან დავუშვით ხრამში, და განა ამას უნდა უყუროს ჩემმა თვალებმა?!. არა, არ მსურს სიცოცხლე და კიდეც მელება ბოლო... მაგრამ ჩუ!.. ხმა ისმის მაღლიდან.

ჩამოვარდა სამარისებური სიჩუმე.

— იეგოვა ბძანებს:—„ჩამოერთვას ზანს და დაინიშნულების თუ არა. ვინ არ იცის მაგალითად, ...ცუდათ არის დაყენებული ჩვენში ...ნათების ტეხნიკა, ტრამვაის აგრეთვე რა რიგ კოჭლობს ტელეფონის საქმე და სხვა ბევრი ამ გვარი; და განა მარტო ჩვენში კი არა რუსეთშიც ბევრგან. მერე რად ხდება ეს თუ კი არსებობს და გვაქვს ესა თუ ის ელექტრო-ტეხნიკური მოწყობილებანი, რად ვერ ასრულებს თავის დანიშნულებას, რათ არა ვართ იმით კმაყოფილნი, მუდამ სამდურავს და უკმაყოფილებას რად ვაცხადებთ. ნუ თუ ეს ამ დარგში მომუშავე, სპეციალურის ცოდნით აღჭურვილ პირთა ...სიცოტავითა იხსნება? არა. ეს იმით აიხსნება, რომ მუშაობის დაწყების დროს მხოლოდ ამ დარგში აქვს ადგილი ესეთ დაუდევრობას: ყველა ის არსებული კანონები, რომლის მიხედვითაც უნდა სწარმოებდეს მუშაობა მუდამ უყურადღებოთ გვერდ-ავლილი რჩება. როგორც სხვა ტეხნიკურ დარგებში აგრეთვე ამ დარგისთვისაც არსებობს ერთგვარი წესი, კანონი, რომელშიც წინდაწინ გათვალისწინებულია და აწონ-დაწონილი ყოველი ნაბიჯები მუშაობის სისწორით საწარმოებლათ.

ყველა იმ ქვეყნებში, რომელნიც ამ მხრივ შორს სდგანან ჩვენგან დროგამოშვებით იკრიბებიან ამ დარგის მცოდნე პირნი, იმ მიზნით, რომ შეიმუშაონ ყოველ შეკრების დროს ახალი წესი, ახალი ნორმები მოსალოდნელ შემდეგი სამუშევრებისათვის. შედეგი ამნაირ ნამუშევრებისა ისეთი როგორსაც დღეს ვხედავთ. ამას კი ჩვენ ვერ ჩავიდენთ ახლო მომავალში ასეთი ნორმები განსაკუთრებით ჩვენი ქვეყნისთვის უნდა იქნეს შემუშავებული, რომ შემდეგში მაინც ავიცდინოთ თავიდგან ის რაც დღეს ვხედავთ.

შემუშავებული, სავალდებულო ნორმა წესი ამ დარგისა მკაცრათ უნდა იქნეს დაცული, უსათუოთ შესრულებული მუშაობის დროს და ყოველი გადახვევა ან გვერდის ავლა სასტიკათ განკიცხული და დასჯილი.

ეს აუცილებელ საჭიროებას შეადგენს, რადგან ამას დიდი მნიშვნელობა ექნება ჩვენი ქვეყნის არა მარტო სწორი გზით ტეხნიკურ წინსვლისათვის, არამეთ სხვა ბევრ მოსაზრებებითაც.

ბ. ლამბაშიძე.

## სამხატვრო ქრონიკა

— გ. ლეონიძის წიგნი. თიბათვეში გამოვა გ. ლეონიძის პირველი წიგნი: „ყაბახები“, „ცივი ნავრუზი“, „საქართველო“.

— თოლაბულისის სარტყელი“. გამოვიდა „თოლაბულისის სარტყლის“ 2. №-მე. გალაკტიონ ტაბიძის, ივ. ყიფიანის, გრიგოლ ცეცხლაძის, ლადო მაჭავარიანის, ვლ. გუნიაშვილის დ. კაკაბაძის მონაწილეობით. ჟურნალი ჰღირს 6 მან.

## პროვინციის ცხოვრება

### ქ. გორი.

— საქართველოს საშუალო სასწავლებელთა მთავარ-გამგემ დანელიამ დაათვალიერა ქ. გორის საოსტატო სემინარია და ქალთა და ვაჟთა გიმნაზიები.

— თბილისიდან ინგლისის ჯარის ნაწილი ჩამოვიდა და ყაზარმებში დაბინავდა.

— პროვაკატორები ცრუ ხმებს ავრცელებენ საქართველოს შესახებ მდაბიო ხალხში; არ არის ვინმე, რომ ხალხს აუხსნას ჩვენი მდგომარეობის სინამდვილე.

— გორში ვერ არის კვლავ სათანადო სისუფთავე; ექიმი კობერიძე ხომ დიდი კაცია გორში და მოხსენებაც კი წაიკითხა სადღაც საქართველოში სანიტარულ ზომების შესახებ; თვის სამკურნალოს ბინის წინ რუები ვერ დაუსუფთავებინებია და იქაურობა ყარს.

— საგუბერნიო ბატალიონის და გორში მყოფ არტილერიის ნაწილები დ. ცხინვალისკენ გაიგზავნენ.

— პირველ მაისს (ძველი სტილით) თამარობა დღეს გორის ქალთა საზოგადოებამ „მანდილოსანმა“ გორში მოაწყო თვის უფასო სკოლის სასარგებლოთ ყულაბებით ფულის შეგროვება და საღამო-წარმოდგენით.

ფონი ნავსეს, რომელიც დაამსხვრევს სპილენძის გველს და შეიყვანს ჩემს ერს აღთქმის ქვეყანაში“,—სიჩუმის შემდეგ სთქვა იუდამ და სული განუტევა.

— ოჰ, ღმერთო ჩემო!.. წამოიძახა შეზარხოშებულმა მოსემ და უკან მოუხედავად გავარდა კარში.

იმ დღიდან მოსე, თითქო მიწამ ჩანთქაო, უჩინარი შეიქნა... მისი მაღმერთებელი, ფარისევლურად გველნაწამები ხალხი ეძებდა მას, მაგრამ ამაოდ, იმის საფლავიც ვერსად აღმოაჩინა.

კირილე წუთისოფლელი.

## ქართლის დედას

მშვენიერების დიდი ღვთაება
კვალად შეეხო, დედავ, შენს ლოყებს,
აჰა, აღსრულდა დღეს მისი ნება:
თავზე მოფენენ მცხრალ დაფნის ტოტებს.

საფლავით აღმდგარ ქართველის გულსა
გარდაეშალა სხვა კუთხე—ველი;
ბედის წინ სალად მოიყრის მუხლსა?—
ხმლით შემოფარგლა საკურთხეველი.

შვილთა ბუნდოვან ოცნების დღენი
გაჰქრა ვით შენი ნაღველის რიდე,
ფხიზელ თვალს ეხლა შენ ევლინები,
ქართლის დედა ხარ!...
ღმერთო, ჰფარვიდე!..

* * *

ძველ სიამაყის მკვეთრი ჯავარი
ცეცხლის ნაპერწკლებს მტერთა აწვიმებს,
და ვით ძველადა ხმალი და ჯვარი
ეხლა ამ ცეცხლით ზრდის სხვა არწივებს.

სხივთა მარადდ გაშლილი ფრთებით
დანავარდობენ საზღვრების მცველად,
ამაყ ოცნების ახალის გზნებით
შენს ხსნად გარდიქმნენ სიკვდილის მძევლად.

აზრით, გონებით, გრძნობათ ოქროს ძნით
გული გეფურჩვნის ვით სიზმრის კიდე,
ყველა მოგელტვის გვირგვინების წვნით,
ქართლის დედა ხარ!...
ღმერთო, ჰფარვიდე!...

დ. კასრაძე.

## მოწოდება

მოქალაქენო!

ქალაქის თვითმართველობასთან დაარსდა ღარიბ მცხოვრებლებთა სოციალური დამხმარებელი მზრუნველობა. მზრუნველობას შეადგენს წარმომადგენლები: ქალაქის გამგეობისა, დამფუძნებელ კრებისა და ქალ. საბჭოს შრომის კომისიების, შრომის სამინისტროსი, პროფესიონალური საბჭოსი, შრომის ბირჟის, ქალ. გამგეობის მედიკო-სანიტალური და სასწავლებლის განყოფილების, სახალხო უნივერსიტეტის, სამინისტროების: შინაგან საქმეთა და მიწათ-მოქმედების, სომხების, რუსების და ებრაელების წარმომადგენლებიდან.

მზრუნველობის მიზანია აღმოუჩინოს სოციალური დახმარება მცხოვრებლებს მოაწყოს სახელოსნოები, საზოგადო სამუშავრები უმუშავრებთათვის, სამუშაო სახლი გაავაზაკებულ ბავშვებთათვის, სამეცნიერო აღმზრდელი სასწავლებლები, ბავშვების თავშესაფარები, სასადილოები, ბიბლიოთეკები და სხვა.—მზრუნველობას მიზნათ აქვს მოაწყოს ლექციები ჰიგიენაზე, საბალოსნო, საბოსტნო და სხვა საგნებზე. მზრუნველობის დაყენებულ მიზნების განსახორციელებლად საჭირო საშუალება, რომელიც მზრუნველობის აზრით შეიძლება გამოიძებნოს სპეციალურ გადასახადებიდან სხვა და სხვა გასართობ ადგილების ბილეთებზე მაგრამ არც ეს არის საკმარისი წინსწარ საჭირო ხარჯებისათვის მზრუნველობა აპირობს თიბათვეში გამართოს წარმოდგენები, სეირნობა, ლექციები, დიდი ლატარია და სხვა და სხვა რადგანაც ლატარიისათვის საჭიროა 25000 ნივთი, მზრუნველობა იმედოვნებს რომ ამ ნივთებს შეაგროვებს კერძო პირებისაგან და სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებიდან, როგორც შემოწირულებებს მოგმართავთ რა, თქვენ მოქალაქენო, მზრუნველობა იმედოვნებს რომ ყურადღებოთ არ დასტოვებთ და შემოსწირავთ ლატარიისათვის სხვა და სხვა საჭირო ნივთებს.—შემოწირულების მოსაგროვებლად დაევალათ პირებს, რომლებსაც აქვთ სათანადო მოწმობები მზრუნველობის თავმჯდომარეს ამხანაგის ნ. რუსია და მდივნის ნ. გიკის ხელმოწერით და მზრუნველობის ბეჭდის დასმით. შემოწირულება მიიღება ქალ. შრომის ბირჟაში (მადათოვის ქუჩა № 11, ალექსანდრეს ბაღის ქვეითა ნაწილის პირდაპირ). ყოველ დღე 8-9 საათამდე. ცნობა შემოწირულების სურვილის შეიძლება ტელეფონით № 8—12, სადაც იქნება გაგზავნილი დანიშნული პირი ნივთების მისაღებად.

მზრუნველობის გამგეობა.

## მცირე რამ ელექტრონის დარგის შესახებ

თუმც ელექტრონის დარგში დღეს დღეობით მუშაობა და ამ მხრივ წინსვლა ინტენსიური არ არის, მაგრამ ამის მიზეზები და დაბრკოლებებაც ბევრია. თუ დღეს ამ დარგში მუშაობა არ სწარმოებს სამაგიეროდ ახლო მომავალში უმთავრესი ყურადღება, ჩვენი ქვეყნის ტეხნიკურ განვითარებაში. ამ მხრივ იქნება მიმართული. ამისათვის ეხლავ ნიადაგის შემზადება და რაც აუცილებელ საჭიროებას შეადგენს ამ თავითვე იმის გაკეთება უსათუოდ საჭიროა. ეს უზრუნველ ჰყოფს ყველა იმ ელექტრო-ტეხნიკურ ნამუშევრებს, რომელნიც კი იქნებიან შესრულებულნი, ყველა იმ დაბრკოლებებისაგან ეხლა წინ რომ გვეღობებიან.

ყველას კარგად მოეხსენება თუ რაც გაგვაჩნია ამ დარგში როგორი იგი, აკმაყოფილებს ყველა იმ მოთხოვნილებებს, ემსახურება თავის მი-

# 26 მაისი 1918 წ.

## საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებაა.

### საქართველოს ეროვნული საბჭო

**პირველი სხდომა**

**ოთხშაბათი, მაისის 26 1918 წ. თბილისის სასახლე.**

კრებას დაესწრო 42 წევრი და 36 კანდიდატი.

ლოჟებში და ქანდარებზედ აუარებელი საზოგადოებაა: სხვა და სხვა ერთა წარმომადგენელნი. სხვათა შორის იმყოფება გერმანიის ჯარის უფროსი აფიცერი **გრაფი შულენბურგი**, გერმანელ აფიცერთა თანხლებით.

ლოჟაშია აგრეთვე თბილისის მიტროპოლიტი ლეონიდე სამღვდელო ამალითურთ და ქართველი მხედრობა.

სასახლის წინა მოედანი და ახლომახლო ქუჩები ხალხით არის გაჭედილი.

სასახლის ბანზე ამართულია საქართველოს ეროვნული დროშა.

**თავმჯდომარეობს** ეროვნულ საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარე **ნოე ჟორდანია**.

პრეზიდიუმში არიან: **გიორგი ლასხიშვილი, გრიგოლ ვეშაპელი, პავლე საყვარელიძე**.

მდივნად არის ეროვნულ საბჭოს მდივანი **ილია ზურაბიშვილი**.

კრება ნაშუადღევის 4 საათსა და 59 წუთზე იწყება.

**კრების გახსნა**

**თავმჯდომარე.** საქართველოს ეროვნულ საბჭოს სხდომას გახსნილად ვაცხადებ.

**ნოე ჟორდანიას სიტყვა**

მოქალაქენო! დღეს თქვენ აქ მოწმე იყავით ერთი ისტორიულის და ამავე დროს ტრაგიკულ აქტისა. ამ დარბაზში მოკვდა ერთი სახელმწიფო და აი ახლა, ამავე დარბაზში, ეყრება საფუძველი მეორე სახელმწიფოს.

ამ ორ სახელმწიფოთა შორის, რომელთაგანაც ერთი მოკვდა და მეორე იბადება, შეუძლებელია ყოფილიყო ინტერესთა წინააღმდეგობა.

და თუ ოდესმე პირველი აღსდგება მკვდრეთით, დარწმუნებული უნდა ვიყოთ, მათ შორის მუდამ მქნება ინტერესთა თანხმობა (ტაში).

საქართველოს ახალი სახელმწიფო, რომელიც დღეს არსდება, არ იქნება მიმართული არც ერთის ხალხისა, არც ერთის სახელმწიფოს წინააღმდეგ.

მისი მიზანია დღევანდელ ისტორიულ ქარტეხილისგან დაიფაროს თავისი თავი.

და როცა ამას მოახერხებს იგი დაეხმარება სხვებსაც, ვინც ჩვენს ქვეყანასთან ერთად ჩავარდა დიდ განსაცდელში! (ტაში).

თქვენ კარგად იცით, საქართველო ჩვეულია ბრძოლას თავისი არსებობის დასაცავად. ის საუკუნოებით იბრძოდა, რათა თვისი სულიერი ვინაობა, ნაციონალური ორგანიზმი და ტერიტორია შეენარჩუნებინა. მაგრამ იგი იბრძოდა მხოლოდ თავის დასაცავად და არ ებრძოდა სხვის არსებობას.

ამასთანავე იგი იბრძოდა არა მარტო ქართველთათვის, არამედ იმ ერებისათვისაც, რომელნიც მოსახლეობენ მის სახელმწიფოებრივ ფარგლებში; მეტსაც ვიტყვი, — ის იბრძოდა თავისი ფარგლების გარეშეც, აგრეთვე სხვების დასაცავად

ეს დიდი ისტორიული მაგალითი ცხოველმყოფელ ანდერძათ დარჩა ქართველ ხალხს და ეს სრული გარანტიაა იმისა, რომ დღევანდელ ქართველ ერს შერჩენილი აქვს მისი ძირითადი ისტორიული მიდრეკილება-შეუსაბამოს ხოლმე თვის ინტერესი სხვა ერთა ინტერესებს

სწორედ ამიტომ არც ერთი ერი — ჩვენს ქვეყანაში მცხოვრები, თუ ჩვენს სახელმწიფოს გარეშე მყოფი, არ უნდა განიცდიდეს ჩვენს გამო რაიმე აღელვებას, სულიერ მტკივნეულობას და წყენას.

და განა დღეს სეიმში არ განაცხადეს, სხვა და სხვა ორატორებმა, რომ არ არის ისეთი ერი, რომელიც ცუდათ იხსენიებდეს ქართველ ერს?!

ეს არის იმის თავდები, რომ ახალი სახელმწიფო, ახალი მთავრობა სავსებით გაამართლებს ამ იმედებს.

ჩვენ გვსურს ვიქონიოთ მეგობრული ურთიერთობა ჩვენს გარეშე და ჩვენს შორის მყოფ ერებთან.

ჩვენ მივაქცევთ განსაკუთრებულ ყურადღებას იმ ერის დიდ ტრაგედიას, რომლის ერთი ნაწილი ჩვენს ტერიტორიაზე სცხოვრობს, ხოლო მეორე ნაწილი ჩვენს გარეშე. ეს არის სომხობა.

ძველს ანდერძს დღევანდელი ქართველობა გაიხსენებს და სომხის ერი იმავე მფარველობას ჰპოვებს ჩვენში, რომელსაც ჰპოვებდა იგი ქართველ მეფეთა შორის! (ხანგრძლივი ტაში).

ჩვენ გვსურს კეთილგანწყობილებაში ვიყოთ ამიერ-კავკასიის მოსახლეობის დიდ უმრავლესობასთან, მუსულმანებთან ჩვენ გვინდა, რომ მათ მოგვაძონ დაიარსონ ასეთივე და შეერთების ხელი გამოგვიწოდონ (მხურვალე ტაში).

ამასთანავე ეს დამოკიდებულობა ჩვენს გარშემო მყოფ ერებისა იქნება უფრო მკვიდრი სახელმწიფოს და აგრეთვე ამ ერებსაც და საშუალებას მოუსპობს ჩვენს საერთო მოქიშპეთ წიხლი, ჩაგვცენ და დაგვანგრიონ. ჩვენს სახელმწიფო ფარგლებში მოსახლეობს სხვა და სხვა ერთა უმცირესობა. ვაცხადებთ, რომ ეროვნული უმცირესობანი იქნებიან ისევე უფლება-მოსილნი, როგორც იქნება ჩვენი სახელმწიფოს ეროვნული უმრავლესობა — ქართველობა.

ეს ერნი, შეერთებულნი ერთის დროშის ქვეშ შეჰკრავენ კავშირს იმ ერებთან, რომელნიც ჩვენი ქვეყნის ფარგლების გარეშე იმყოფებიან, — და ამით წარმოიშვება ის სახელმწიფოებრივი კავშირი, რომელიც აღადგენს აქ, ჩვენს წინაშე, დაღუპულს სახელმწიფოს.

ეს სახელმწიფო იქნება კავკასიის კონფედერაციული კავშირი. (ხანგრძლივი ტაში მთელს დარბაზში).

ამრიგად ჩვენი სავალი გზა, ჩვენი იდეალი უნდა იყოს ამ კავშირის შედგენა. ეს კავშირი იქნება ის სახელმწიფოებრივი ორგანიზმი — სახელმწიფოთა კავშირი, — რომელიც საერთო ძალ ღონე შეკრებილი, მთლიანი წარდგება მტრის წინაშე და დაიცავს თავისთავს.

აი მაშინ შეიძლება აღსრულდეს ის, რაც სეიმმა ვერ შექმნა.

და ის, ვინც ახლა შეუგნებლად მიდის ამიერ-კავკასიის ფარგლების გარეშე — შესაძლებელია ხვალად მობრუნდეს და საერთო დროშის ქვეშ დადგეს.

ამით დამყარდება ამიერ კავკასიის ერთობა და აქ მოსახლე ერების ძლიერება (ხანგრძლივი ტაში და ოვაციები).

ეხლა მომეცით ნება გადავიდეთ იმ საგანზე, რომლისთვისაც ჩვენ აქ შევიკრებენით.

ჩვენ უკვე გვაქვს შემუშავებული აქტი საქართველოს დამოუკიდებლობისა, რომელიც ახლა იქნება წაკითხული.

**ნოე ჟორდანია** კითხულობს საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს, რომელსაც ეროვნული საბჭო ერთხმად აღფრთოვანებით იღებს.

**აქტის წაკითხვა აივანზე**

მყუდროების დამყარების შემდეგ თავმჯდომარის წინადადებით ეროვნულ საბჭოს მდივანი **ილია ზურაბიშვილი** სასახლის აივანზე გადის და იქიდან უკითხავს თავმოყრილ ხალხს დამოუკიდებლობის აქტს. აივანზე აქტის კითხვის დროს საპატიო დარაჯთა რაზმი სდგას ორის ეროვნულ დროშით.

აქტის თითოეული დებულება ხალხში დიდს ენტუზიაზმს იწვევს. (ვაშას ძახილი, ტაში და ოვაციები განუწყვეტელია).

**რუსული თარგმანის წაკითხვა**

(ამავე დროს კრების დარბაზში, თავმჯდომარის ამხანაგი **გრიგოლ ვეშაპელი**, თავმჯდომარის წინადადებით, კითხულობს აქტის რუსულ თარგმანს, რასაც მოჰყვება იგივე ტაში და ოვაციები).

**აქტის მიღება და დამტკიცება**

**თავმჯდომარე.** თანახმა ხართ მიიღოთ საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი თუ არა? არავინ. გთხოვთ ასწიოთ ხელი. ვინაა წინააღმდეგი? არავინ. თავი ვინ შეიკავა? არავინ.

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი ერთხმად იქნა მიღებული (ხანგრძლივი ტაში. ისმის ხმები: გაუმარჯოს საქართველოს! გაუმარჯოს!),

ვთხოვ საბჭოს ყველა წევრებს, რომ კრების შემდეგ მოვიდნენ აქ და აქტს ხელი მოაწერონ.

**დროებითი მთავრობის შემადგენლობა**

**თავმჯდომარე.** ეხლა ნება მიბოძეთ გამოვაცხადო ჩვენი დროებითი მთავრობის შემადგენლობა, რომელიც შედგენილია აღმასრულებელ კომიტეტის მიერ, ფრაქციების წარმომადგენლებთან შეთანხმებით.

1. მთავრობის თავმჯდომარე და შინაგან საქმეთა მინისტრი **ნოე რამიშვილი**.
2. საგარეო საქმეთა მინისტრი **აკაკი ჩხენკელი**.
3. სამხედრო მინისტრი **გრიგოლ გიორგაძე**.
4. ფინანსთა და ვაჭრობა მრეწველობის მინისტრი **გიორგი ჟურული**.
5. განათლების მინისტრი **გიორგი ლასხიშვილი**.
6. მიწათ-მოქმედების და შრომის მინისტრი **ნოე ხომერიკი**.
7. იუსტიციის მინისტრი **შალვა მესხიშვილი**
8. გზათა მინისტრი **ივანე ლორთქიფანიძე**.

(ყველა ზემო აღნიშნულ პირთ კრება და დამსწრე საზოგადოება ტაშით და ოვაციებით ეგებება. აკაკი ჩხენკელის გარდა, რომელიც საზავო დელეგაციაში იმყოფება ყველა დანარჩენნი დარბაზში არიან. მინისტრები მთავრობის ადგილს იჭერენ).

**მთავრობის დამტკიცება.**

(**თავმჯდომარის** შეკითხვაზე კრება ერთხმად ამტკიცებს ზემოდ დასახელებულ პირთა მთავრობათ არჩევას).

**არსებულ კანონების დადასტურება.**

**თავმჯდომარე.** ახლა საჭიროა, ვიდრე ჩვენ შეუდგებით კანონების გამოცემის მუშაობას, ძალაში დარჩეს ყველა ის კანონი. რომელიც დღემდე არსებობს და საქართველოში მოქმედობს, სხვათა შორის სეიმის დადგენილებანიც. (კრება ერთხმად იღებს ამ წინადადებას).

**ფინანსები**

**თავმჯდომარე.** ამის გარდა. ჩვენ უნდა მივიღოთ წინადადება ფინანსების შესახებ. ვინაიდან საფინანსო საქმე მეტის მეტად რთულია, საჭიროა დროებით დარჩეს ძველი წესი ფულის ბეჭდვისა, სანამ ჩვენი საკუთარი სახელმწიფოებრივი ფულის სისტემა შემუშავდება; ე. ი ამიერ კავკასიას ფულის საერთო სისტემა იქნება, მუსულმანებთან და სომხებთან შეთანხმებით.

**გიორგი გვაზავა,** (ადგილიდან) ეგ საკითხი გადაიდოს.

**თავმჯდომარე.** გადადება შეუძლებელია. ფული ყოველ წამს საჭიროა და ჩვენ კი ფულის სისტემას სასწრაფოდ ვერ შევქმნით.

ამასვე თხოულობს მთავრობა.

(კრება ერთხმად იღებს თავმჯდომარის წინადადებას. ფინანსიური საქმის შესახებ. ე ი. დროებით დარჩეს ძველი წესი ფულის სისტემის).

**სამანდატო კომისია.**

**თავმჯდომარე.** აგრეთვე საჭიროა ჩვენს შემდეგ კრებას კანონიერი ხასიათი მივცეთ. გამოვარკვიოთ ვინ არის წევრი და ვინ კანდიდატი. ამისთვის უნდა ავირჩიოთ სამანდატო კომისია, რომელიც შემდეგ სხდომისთვის წარმოგვიდგენს მოხსენებას. გთხოვთ დაასახელოთ. ასახელებენ:

1. თევდორე კიკვაძეს.
2. რაჟდენ არსენიძეს.
3. შალვა მიქელაძეს.
4. იასონ ლორთქიფანიძეს.
5. გიზო ანჯაფარიძეს.
6. კალენიკ ქავთარაძეს.
7. გიორგი გვაზავას კრება ერთხმად ამტკიცებს ამ შემადგენლობას.

**თავმჯდომარე.** დღევანდელი წესრიგი დასრულებულია. ამ დღეებში ჩვენი მთავრობა წარმოუდგენს საბჭოს დეკლარაციას.

**მ ი ს ა ლ მ ე ბ ა ნ ი**

**თავმჯდომარე.** ახლა ჩვენ უნდა გადავიდეთ კრების საგნის მეორე მხარეზე. აქ იმყოფებიან ერთა წარმომადგენლები რომელთაც განაცხადეს სურვილი მიესალმონ საბჭოს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების გამო.

**მაჰმადიანთა წარმომადგენლის ფატალი-ხანი ხოილის სიტყვა.**

მაჰმადიანთა ცენტრალ კომიტეტის სახელით მოგილოცავთ, დამოუკიდებელ საქართველოს მოქალაქენო, თქვენს დღევანდელ ბედნიერებას.

100 წელზე მეტია, რაც საქართველო იბრძოდა თავის დამოკიდებულობისათვისაც და აი დღეს აგისრულდათ ის ნატვრა, რომელიც ჩამარხული იყო ყოველ ქართველ მამულიშვილის გულში.

ამიერ-კავკასიის ერებს ცდილობდნენ, რომ შეექმნათ ერთი მთლიანი სახელმწიფო, მაგრამ დღევანდელ პირობებში ჩვენ ეს ვერ შევძელით.

ეხლა ჩვენ ვშორდებით ერთმანეთს, რომ შემდეგში უფრო მტკიცეთ შევკავშირდეთ, ჩვენი განშორება არ იქნება ხანგრძლივი. უკვე ახლოა ის დღე, როდესაც ჩვენ სახელმწიფოებრივ ცხოვრებას ერთი მიმდინარეობა მიეცემა.

ჩვენ ვგრძნობდით განშორების აუცილებლობას, მაგრამ ისიც გვწამს, რომ მალე ისევ შევკავშირდებით.

ნება მომეცით, ერთხელ კიდევ მოგილოცოთ ამიერ-კავკასიის ყველა მაჰმადიანის სახელით: გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს! (ტაში).

**ადგილობრივ პოლონელთა წარმომადგენლის სიტყვა.**

(თარგმნილია რუსულით)

ჩვენ პოლონეთის შვილები მივესალმებით მებრძოლ საქართველოს თავისუფალ შვილებს და უსურვებთ ყოველივე სიკეთეს.

გაუმარჯოს საქართველოს!

**ოსების წარმომადგენლის სიტყვა.**

**გიორგი გაგლოევი.** ამხანაგებო და მოქალაქენო!

ამ ტრიბუნაზე მე განვიცდი იმავე გრძნობას. რომელსაც განიცდით თქვენ. ეს გასაგებიც არის. მე ვარ წარმომადგენელი არა მარტო ოსების, არამედ საქართველოს ეროვნულ საბჭოს წევრიც. თვით ეს ფაქტი ამტკიცებს, რომ ამ ორი ერის შორის არის ისეთი რამ კავშირი, რომელიც აერთებს მათ. ჩვენ გვწამს, რომ საქართველოს დემოკრატია თავის დროშას დაბლა არ დაუშვებს. საქართველოს დემოკრატიასთან ერთად ამ დროშის ქვეშ ივლის ჩვენი დემოკრატიაც.

ამ იმედებით აღჭურვილი მივესალმები ამ კრებას იმედია საქართველო აიცდენს იმ განსაცდელს, რომელიც მას მოელის გარეშე მტრისაგან.

**ქართველ მაჰმადიანთა წარმომადგენლის სიტყვა.**

**ჰაიდარ ბეგ აბაშიძე.** ძვირფასო ძმანო! დღეს თქვენი მოძმე ქართველი მაჰმადიანები გილოცავთ საქართველოს განთავისუფლებას. გილოცავთ მრავალტანჯულ საქართველოს დამოუკიდებლობას!

ჩვენი გული ნაღვლით ივსება, როდესაც ვიგონებთ, რომ სამაჰმადიანო საქართველო დღეს თქვენთან არ არის.

მაგრამ მე იმედი მაქვს, რომ სამაჰმადიანო საქართველო დღეს თუ არა ხვალ ჰირშიც და ლხინშიც თქვენთან იქნება.

მაშ გაუმარჯოს დღეს ამ საქართველოს. შემდეგ კი ეროვნულ ტერიტორიალურად შეკავშირებულ საქართველოს!

**გერმანიის რწმუნებულის კაიზერის სიტყვა.**

(თარგმნა გერმანულით **გერ. ქიქოძემ**).

თუმცა მე ჩემი მთავრობისაგან არა მაქვს ოფიციალური დავალება, მაგრამ მე პირადად მოგილოცავთ დამოუკიდებლობის დამყარებას და უსურვებ ახლად დაარსებულ სახელმწიფოს ყოველივე სიკეთეს და წარმატებას?

**ამიერ-კავკასიის გერმანელთა წარმომადგენელი.**

**ფრიკე.** (სთარგმნა გერმანულით **გერონტი ქიქოძემ**) ულოცავს კრებას საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების. გამოსთქვამს სურვილს, რომ საქართველო აღსდგეს ნანგრევებიდან. განახლდეს, როგორც ფენიქსი (ფასკუნჯი) და ბოლოს ერთ ტაძარში გამოსჭედოს თავის ბედი.

გაუმარჯოს საქართველოს რესპუბლიკას!

**კრების დახურვა.**

**თავმჯდომარე.** კრების სახელით მადლობას უცხადებ მათ, ვინც ჩვენ მოგვილოცა და კრებას ვხურავთ.

კრება საღამოს 5 საათსა და 55 წ. იხურება


ბიქტორი, ალექსანდრე, ედუსი, ვასასი, ილია, მარ... ... აგრაფინა, ეკატერინე და კონსტანტინე სამსონის... ... ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ... ტრაგიკულად დაიღუპა მათი უსაყვარელესი მამა

**სამსონ საჩინოს ძე ბასილანი.**

წირვა და პანაშვიდი გადახდილ იქნება ს. ბარდნალას განსვენებულის სახლში.

(1—უ—1)

**ახლად მოწყობილი სტამბა „ხელოვნება“**

ველიამინოვის ქუჩა № 20.

იღებს ყოველ-გვარ სასტამბო და საკაზმავ საქმეებს და გამოცდილ მუშათა ინიციატორობით ასრულებს სწრაფად და ხელოვნურად მეტათ **დაკლებულ ფასებში.**

**საყურადღებოდ სოფლების წვრილ საკრედიტო ამხანაგობებს**

სტამბა „ხელოვნებას“ აქვს დამზადებული ყოველნაირი ბლანკები წვრ. საკრ. ამხანაგობებისთვის: წლიური ანგარიშები, თვიური ანგარიშები, ხელწერილები და სხვა.

(25—51—1უ)


**მატარებლების მიმოსვლა**

11 თებერვლიდან.

**მატარებლები თბილისიდან ფოთში:**

მ. № 1 სასწრაფო საღ. 7 საათ. 30 წ.
ხაშურიდან — ღამ. 10 ს. 52 წ.
შორაპნიდან — ღამ. 1 ს. 34 წ.
სამტრედიიდან — ღამ. 3 ს. 50 წ.
ფოთში — დილის 5 ს. 50 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 20 მ.

მ. № 3 საფოსტო დილის 10 ს. 30 წ.
ხაშურიდან — დღის 3 ს. 08 წ.
შორაპნიდან — საღამოს 6 ს.
სამტრედიიდან — საღ. 8 ს. 34 წ.
ფოთში — ღამის 10 ს. 43 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 10 მ.

მ. № 9 **სამგზავრო ქუთაისამდე.**
საღამოს 10 საათ. 30 წ.
ქუთაისში მივა დილ. 7 ს. 21 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 5 მ.

მ. № 19 **სამგზავრო ბორჯომამდე.**
დღის 3 საათზე 30 წ.
გორიდან — საღამოს 6 ს. 30 წ.
ბორჯომში მივა საღ. 9 ს. 27 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 5 მ.

მ. № 4 **საფოსტო ბაქომდე.**
ღამის 1 საათზე 10 წ.

მ. № 8 **სამგზავრო განჯამდე:**
დღის 3 საათზე 35 წ.

მ. № 6 სასწრაფო საღ.—9 ს. ბაქომდე.
პლაცკარტის ფასი ბაქომდე 1 კლ. 60 მ., 2 კლ. 40 მ., 3 კლ. 20 მ.

**ყარსიკენ — ერევანში**

მ. № 4 საფოსტო — დღის 1 ს. 40 წ.

**თბილისში მომავალი მატარებლები.**

**ფოთიდან — თბილისში.**

მ. № 2 სასწრაფო — დილ. 9 ს. 41 წ.
ფოთიდან გამოვა საღ. 11 ს.
მ. № 4 საფოსტო საღ. 8 ს. ფოთიდან გამოვა დილის 7 საათ. 40 წ.

მ. 12 **ქუთაისიდან:**
დილის 8 ს. 15 წ. ქუთაისიდან გამოვა საღ. 10 საათ. 33 წ.

მ. № 20 **ბორჯომიდან**
დილის 7 ს. 20 წ. ბორჯომიდან გამოვა ღამ. 12 ს. 46 წ.

**ბ ა ქ ო დ ა ნ**

მ. № 3 საფოსტო დღის 4 ს. 30 წ.
მ. № 5 სასწრაფო დილის 7 ს.
მ. № 7 სამგ. განჯიდან დილ. 8 ს. 30 წ.
მ. № 5 პლაცკარტიანია; პლაცკარტის ფასი 1 კლ. 60 მ., 2 კლ. 40 მან., 3 კლ. 20 მ.

**ნახიჩევანიდან და ყარსიდან**

მ. № 3 საფოსტო — დილ. 11 ს. 30 წ.
ამათ გარდა კვირა უქმე დღეებში.

**თბილისსა და მცხეთის შუა**

იქნება შემდეგი მატარებ. მიმოსვლა.
მ. № 61 თბილისიდან
დილის 7 ს. 37 წ.
მ. № 63 დღის 3 ს.

**მცხეთიდან მოდის**

მ. № 62 დილის 11 ს. 10 წ.
მ. № 64 საღამოს 7 ს. 20 წ.

**კახეთის რკინის გზის მატარებლების მიმოსვლა. პირველ მაისიდან 1919 წლისა.**

საათები ნაჩვენებია თბილისის დროით.

**თბილისიდან-მულაანამდე.**

საავარაკო მატარ. № 16. თბილისიდან გადის დილის 7 საათზე მულაანში მიდის 12 საათზე და 50 წუთზე.

საავარაკო მატარ. № 15 მულაანში უერთდება საფოსტო მატარ. № 3 და გამოდის იქიდან ნაშუადღევის 1 საათზე და 40 წუთზე.

**თბილისიდან-თელავამდე.**

საფოსტო მატარ. № 4. თბილისიდან გადის დილის 10 საათზე თელავში მიდის 7 საათზე და 35 წ.

**თელავიდან-თბილისამდე.**

საფოსტო მატარ. № 3. თელავიდან გამოდის დილის 9 საათზე და 30 წუთზედ მულაანში უერთდება საავარაკო მატარებელს № 15 და მოდის თბილისში საღამოს 7 საათზე და 15 წუთზე.

**გურჯაანიდან-წნორის-წყლამდე**

მატარებ. № 6. გურჯაანიდან გადის საღამოს 6 საათზე წნორის-წყალში მიდის საღამოს 7 საათზე.

**წნორის-წყლიდან გურჯაანამდე.**

მატარებელი № 5. წნორის-წყლიდან გამოდის დილის 9 საათზე და 50 წუთზე გურჯაანში მიდის დილის 11 საათზე.

(2—54—2)


**ე ქ ი მ ი**

**ა. მ. პაპავაშვილი**

იღებს შინაგან და ბავშთა სნეულებიან ავადმყოფებს, ყოველ დღე, გარდა შაბათისა, საღამოს 5—7 საათამდე. გუნიბის ქუჩა № 43 (ყაზბეგის და გუნიბის ქუჩ. კუთხე, სახლი კახიძისა).

(25—2324—2)

**მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა**

**გ. გ. მეგრაბიანცი**

შინაგანი ავადმყოფობა, ფილტვისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის-ელექტრო-წამლობის კაბინეტში, გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი სალენოიდი და სევალის ტიკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ღარიბებს უფასოთ. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე მებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 4—17—52.

**სამკურნალო კაბინეტი ექიმის ალექსანდრე დავითის ძე კიკოლიანი**

იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათ. 11 საათ. და საღამოს საათ. 6 საათ. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნიკოს პირდაპირ“, ტელეფონი 14—28.

**მედიცინის ექიმი**

**ე. ა. მ ო ნ ს ე**

ნერვიული, შინაგანი და საბავშო სნეულებანი. მკურნალობა ელექტრონით, სიმსუქნის მკურნალობა ბერგონიეს აპარატით, სასქესოების მკურნალობა ლინდემანის აპარატით; ფსიხოთერაპია, ჰიპნოზი. მიღება 10-ნახ. ს. დღ. საღამოს 6—7 ს. ყოველ დღე, კვირას და უქმეების საღამოს გარდა. მიხეილის პროსპ. № 111. ტელეფონი 13—42.

50—2119—43